Mayors for Economic Growth

წევრების ფორმა

სრულად ვიზიარებთ რა ყველა იმ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას, რომელსაც გულისხმობს ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) კონცეფცია და ჩამოთვლილია ქვევით, მე, ლაშა კომახიძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილებით 2018 წლის [თარიღი, *თვე]*-ს ხელს ვაწერ მერები ეკონომიკური ზრდისთვის ინიციატივას.

ჩემი მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ვალდებულებას იღებს ბიზნესსექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდროდ თანამშრომლობით, დააჩქაროს მდგრადი და ინკლუზიური ადგილობრივი ეკონომიკური ზრდა, განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა ქვემოთ ჩამოთვლილი 5 სფეროდან მინიმუმ სამი მიმართულებით მაინც ძალისხმევის გაძლიერებით.

1. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო;
2. უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება;
3. მიწა და ინფრასტრუქტურა;
4. წვდომა ფინანსებზე;
5. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი.

აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად, ჩემი მუნიციპალიტეტი პასუხისმგებლობას იღებს:

- კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად შექმნას კოალიცია M4EG-ის სამდივნოს სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების ზემოთ მითითებული თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამზადებლად;
- კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მოამზადოს ანალიზი და დასახოს ზრდაზე, განვითარებასა და დასაქმებაზე მიმართული ღონისძიებები;
- დასახოს კონკრეტული მიზნები და მისაღწევი შედეგები აღნიშნული ღონისძიებებისათვის;
- დანერგოს კარგი მმართველობის პრინციპები, განსაკუთრებით ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის, ანტიკორუფციულობისა და ინკლუზიურობის თვალისაზრისით;
- წაახალისოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესში ადგილობრივი თემის ყველა დაინტერესებული მხარის, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესისა და

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობა გენდერული ბალანსის დაცვით;

- გაითვალისწინოს გარემოს მდგრადობა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისას;
- წელიწადში ორჯერ M4EG-ის სამდივნოს წარუდგინოს ანგარიში ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

მე სრულად ვაცნობიერებ, რომ ჩემი მუნიციპალიტეტი შესაძლოა ამოღებულ იქნას M4EG-ის ინიციატივიდან - რაც წინასწარ ეცნობება ჩვენს მხარეს M4EG-ის სამდივნოს მიერ წერილობითი ფორმით - ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა და წელიწადში ორჯერ მოსამზადებელი მონიტორინგის ანგარიში) დადგენილ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში.

ლაშა კომახიძე [ხელმოწერა]

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

ლუკა ასათიანის 25, ბათუმი 6010, საქართველო.

საკონტაქტო პირი:

ეთერ ლომაძე
ქ. ბათუმის მერიის საერთაშორისო ურთიერთობის, საინვესტიციო და ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსი.

Email: etu.lomadze@gmail.com

მობ: +995 577 201170